საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №21/ნ

2024 წლის 12 თებერვალი

ქ. თბილისი

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 12/04/2019, სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.017693) დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-3 მუხლით გათვალისწინებული ცხრილის:

1. დეტალური სფერო ,,საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა Accounting and taxation'' (კოდი 0411) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„0411 აღრიცხვა და დაბეგვრა Accounting and taxation

შეისწავლის ფინანსური ტრანსაქციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.

Is the study of maintaining, auditing and recording financial transactions“.

2. დეტალური სფეროს ,,საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა Accounting and taxation'' (კოდი 0411) -ის პირველ სვეტში არსებული ჩანაწერი ,,საბუღალტრო აღრიცხვა Accounting'' (კოდი 0411.1.1) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,0411.1.1 აღრიცხვა და დაბეგვრა Accounting and taxation“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი